საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ

2018 წელს

გამოქვეყნებული ძირითადი პროდუქტები

მთლიანი შიდა პროდუქტი, 2018 წელი

წინასწარი მონაცემებით 2018 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ მიმდინარე ფასებში 41 077.5 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 8.5 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 2018 წელს წინა წელთან შედარებით 4.7 პროცენტით, ხოლო დეფლატორის პროცენტული ცვლილება 3.6 პროცენტით განისაზღვრა.

ცხრილი № 1

მაჩვენებელი	2017	2018*
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	37 846.6	41 077.5
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი)	15 086.5	16 207.1
მშპ ერთ სულზე (ლარი)**	10 152.0	11 013.9
მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)**	4 046.8	4 345.5
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	4.8	4.7
მშპ-ის დეფლატორის პროცენტული ცვლილება (%)	6.1	3.6

*წინასწარი მონაცემები.

** 2017 და 2018 წლებში ერთ სულზე გაანგარიშებულ მაჩვენებლებში ასახულია მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა და დეფლატორის პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით

(პროცენტი)



*წინასწარი მონაცემები.

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა ვაჭრობა (17.0 პროცენტი) და მრეწველობა (17.0 პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10.2 პროცენტი), მშენებლობა (9.3 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (8.2 პროცენტი), სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა (7.7 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (7.4 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (5.8 პროცენტი).

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2018* წელი



*წინასწარი მონაცემები.

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: საფინანსო საქმიანობა (13.5 პროცენტი), კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა (13.2 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (12.1 პროცენტი), სასტუმროები და რესტორნები (9.7 პროცენტი), ტრანსპორტი (9.4 პროცენტი), სამთომოპოვებითი მრეწველობა (7.6 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (6.2 პროცენტი), ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი (5.9 პროცენტი), კავშირგაბმულობა (5.8 პროცენტი).

კლება აღინიშნა მშენებლობის სექტორში (-3.1 პროცენტი).

ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა ასახულია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე



შენიშვნა: 2009-2018 წლებში ერთ სულზე გაანგარიშებულ მაჩვენებლებში ასახულია 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები.

ინფლაცია საქართველოში, 2018 წელი

2018 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო წლიური ინფლაციის დონე 1.5 პროცენტით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2018 წლის დეკემბრის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	1.7
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	4.9
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-6.6
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	3.1
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	0.5
ჯანმრთელობის დაცვა	2.9
ტრანსპორტი	1.7
კავშირგაბმულობა	-2.6
დასვენება, გართობა და კულტურა	1.1
განათლება	1.9
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	1.8
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	0.6
ინფლაციის დონე, სულ	1.5

ჯგუფების წვლილი* 2018 წლის დეკემბრის ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 1.5%)



წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.7 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0.52 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: თევზეული (11.1 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (8.8 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (4.5 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (-17.5 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (-4.3 პროცენტი), ასევე ბოსტნეული და ბაღჩეული (-3.2 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 4.9 პროცენტით, რაც 0.33 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ფასები მომატებულია თამბაქოს ნაწარმზე (8.1 პროცენტი);

საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერგია, აირი: ფასები გაიზარდა 3.1 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინფლაციაში 0.25 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები მომატებულია წყალმომარაგებისა და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურების (7.7 პროცენტი), ასევე ელექტროენერგიის, აირის და სათბობის სხვა სახეების (2.9 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები მომატებულია 2.9 პროცენტით, რაც 0.25 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა (4.0 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (3.4 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურება (1.1 პროცენტი);

ტრანსპორტი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 1.7 პროცენტიანი მატება, რაც წლიურ ინფლაციაზე 0.22 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (3.4 პროცენტი).

წლიური ინფლაციის დონე საქართველოში

(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
2018 წელი
(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2018 წელს 1 232.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 34.9 პროცენტით ნაკლებია 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება, რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში, ასევე, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება (სასესხო დავალიანების დაფარვა).

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2013-2018 წლებში.

დიაგრამა №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2018 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 45.3 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა №2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2013-2018 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)



2018 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები შემდეგნაირად განაწილდა:

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2018 წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2014	2015	2016	2017	2018*
სულ	1 817.7	1 665.6	1 565.8	1 894.5	1 232.4
მათ შორის:					
აზერბაიჯანი	340.5	581.6	558.5	465.0	240.0
გაერთიანებული სამეფო	108.9	398.8	105.5	247.4	203.7
ნიდერლანდი	376.8	158.5	72.3	356.7	167.9
აშშ	184.7	20.7	58.4	79.7	103.7
პანამა	70.7	9.5	75.9	52.8	74.7
ჩეხეთი	52.0	16.7	87.0	142.5	72.3
ჩინეთი	220.1	66.9	25.5	40.3	65.4
კორეა	0.6	29.9	29.7	36.2	63.2
რუსეთი	87.9	51.4	36.0	43.7	60.1
დანარჩენი ქვეყნები	375.6	331.5	517.1	430.0	181.5

*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, 49.6 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სტრუქტურული დიაგრამა №3. პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 19.5 პროცენტით, მეორეზე - გაერთიანებული სამეფო 16.5 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ნიდერლანდი 13.6 პროცენტით.

დიაგრამა №3

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2018* წელს



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2018 წელს, ეკონომიკის სექტორების მიხედვით:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015-2018 წწ.(მლნ. აშშ დოლარი)

	2015	2016	2017	2018*
სულ	1 665.6	1 565.8	1 894.5	1 232.4
მათ შორის:				
საფინანსო სექტორი	202.0	141.1	302.6	277.9
ტრანსპორტი	608.1	576.0	472.6	209.9
ენერგეტიკა	123.7	145.0	224.1	157.2
დამამუშავებელი მრეწველობა	98.4	125.6	98.6	142.3
მშენებლობა	143.6	168.7	283.1	103.6
უძრავი ქონება	91.4	49.6	182.2	90.0
სასტუმროები და რესტორნები	141.4	56.1	72.2	72.3
სამთომოპოვებითი მრეწველობა	88.0	49.7	51.8	66.7
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	18.6	8.4	12.4	15.9
ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება	140.3	29.5	7.2	13.2
კავშირგაბმულობა	-20.6	59.7	17.0	-35.2
დანარჩენი სექტორები	30.8	156.3	170.7	118.7

*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2018 წელს 52.3 პროცენტი შეადგინა. ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 277.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 22.5 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ტრანსპორტის სექტორი 209.9 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ენერგეტიკის სექტორი,157.2 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაზე №4:

დიაგრამა №4

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018* წელს



*წინასწარი მონაცემები.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა
2018 წელი
(წინასწარი)

2018 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 12 484.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 17.0 პროცენტით აღემატება. აქედან ექსპორტი 3 362.1 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (22.9 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 9 122.3 მლნ. აშშ დოლარს (14.9 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2018 წელს 5 760.2 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46.1 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 2 297.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11.0 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება, 2013-2018 წლების დინამიკური მწკრივის მიხედვით.

საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2013-2018 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

2018 წელს, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელდა 730.3 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი, რაც 11.5 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 21.7 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობამ 2 629.1 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (19.5 პროცენტით მეტი) და მთლიანი იმპორტის 28.8 პროცენტი შეადგინა. სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3 359.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 17.7 პროცენტით აღემატება. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2018 წელს მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში მისი წილი 33.0 პროცენტს შეადგენს.

2018 წელს, საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებულია 1 677.1 მლნ. აშშ დოლარის საქონელი, რაც 41.6 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 49.9 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობა 2 697.1 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა (16.5 პროცენტით მეტი), რაც მთლიანი იმპორტის 29.6 პროცენტია. სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან 4 374.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 25.0 პროცენტით აღემატება. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2018 წელს, მისი წილი მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში 17.7 პროცენტი იყო.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს ქვეყნების ჯგუფების წილს საქართველოს მთლიან ექსპორტსა და იმპორტში.





*წინასწარი მონაცემები.

2018 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.2 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი (1 702.8 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 373.0 მლნ. აშშ დოლარი) და მესამე ადგილზე აზერბაიჯანი (1 088.8 მლნ. აშშ დოლარი), რომელიც ამავე წლის ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდში აღარ გვხვდებოდა უმსხვილეს სამეულში.

ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა 2018* წელს
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

2018 წელს, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 504.1 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 15.0 პროცენტს შეადგინს. მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები, 408.9 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 12.2 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები, 352.6 მლნ. აშშ დოლარით (10.5 პროცენტი).

უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული 2018* წელს



*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2018 წელს წარმოდგენილი იყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სახით, რომლის იმპორტმა 863.9 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 9.5 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა მსუბუქი ავტომობილები 598.2 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.6 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 396.7 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 4.3 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო საქონლის ათეული 2018* წელს



*წინასწარი მონაცემები.

ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა 2017-2018 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყანა 2017-2018 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

დასაქმება და უმუშევრობა

2018 წლის IV კვარტალი

2018 წლის IV კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა კვარტალთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12.3 პროცენტი შეადგინა.

უმუშევრობის დონე საქართველოში 2018 წლის კვარტალების მიხედვით, %



უმუშევრობის დონის 2018 წლის წლიური მაჩვენებელი 12.7 პროცენტის ფარგლებშია, რაც 1.2 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 9 წლის განმავლობაში უმუშევრობის დონის წლიური მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება, ამასთან უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს აღწევს[1] .

[1]2018 წლის დასაქმების და უმუშევრობის დეტალური მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2019 წლის 17 მაისს.

უმუშევრობის დონე საქართველოში, %



2018 წლის IV კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 63.6 პროცენტი შეადგინა. წინა კვარტალთან შედარებით მოსახლეობის აქტიურობის დონე და დასაქმების დონე შემცირებულია 0.7 პროცენტული პუნქტით. ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე წინა კვარტალთან შედარებით შემცირებულია 0.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 1.3 პროცენტული პუნქტით. აქტიურობის დონე წინა კვარტალთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში უცვლელი დარჩა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 1.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

აქტიურობის და დასაქმების დონე 2018 წლის კვარტალების მიხედვით, %



2018 წლის IV კვარტალში თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 48.7 პროცენტს შეადგენდა, რაც 0.1 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული წინა კვარტალთან შედარებით.

დასაქმებულთა განაწილება 2018 წლის კვარტალების მიხედვით, %



უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სასოფლო დასახლებებში, საქალაქო დასახ-ლებებთან შედარებით. 2018 წლის IV კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით უმუშევრობის დონე სასოფლო დასახლებებში 0.4 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული, ხოლო საქალაქო დასახლებებში გაზრდილია 0.5 პროცენტული პუნქტით.

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში 2018 წლის კვარტალების მიხედვით, %



უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2018 წლის IV კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში 2.6 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ქალების შესაბამის მაჩვენებელს. ამასთან, უმუშევრობის დონე წინა კვარტალთან შედარებით ქალებში შემცირდა 0.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში გაიზარდა 0.6 პროცენტული პუნქტით.

უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში
2018 წლის კვარტალების მიხედვით, %



საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2018 წლის IV კვარტალი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2018 წლის IV კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21.9 პროცენტით გაიზარდა და 25.8 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2018 წლის IV კვარტალში მისი მოცულობა 11.5 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 9.6 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილება კვარტლების მიხედვით



2018 წლის IV კვარტალში მთლიანი ბრუნვის 51.6 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 19.7 პროცენტი - საშუალო, ხოლო 28.7 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 40.3 პროცენტი, საშუალოზე - 25.8 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 33.9 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2018 წლის IV კვარტალი



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2018 წლის IV კვარტალში 16.5 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.7 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 10.2 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.8 პროცენტით მეტი).

2018 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 684.5 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 3.7 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 40.6 პროცენტი ქალია, ხოლო 59.4 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 36.2 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 21.6 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 42.2 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 647.6 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 2.8 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 582.4 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.1 პროცენტით მეტი).

2018 წლის IV კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 318.7 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 77.2 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 977.2 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 67.9 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1 288.8 ლარი,
- საშუალო ბიზნესი – 1 513.9 ლარი,
- მცირე ბიზნესი – 1 234.5 ლარი.

2018 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 40.9 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 20.0 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 9.8 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 8.7 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 5.9 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 3.6 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 11.1 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2018 წელი IV კვარტალი



2018 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (21.7 პროცენტი) და მშენებლობა (20.2 პროცენტი), შემდეგ მოდის ვაჭრობა (17.0 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9.8 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 31.2 პროცენტიანი წილი უჭირავს:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის სტრუქტურა, 2018 წელი IV კვარტალი



2018 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის საქმიანობების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 25.7 პროცენტი, 13.1 პროცენტი და 10.6 პროცენტიანი წილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების (10.2 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.1 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (5.5 პროცენტი):

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2018 წელი IV კვარტალი



2018 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები[1]

დაბადება

2018 წელს საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 51 138 ბავშვი შეადგინა (მათ შორის – 26 538 ბიჭი და 24 600 გოგო), რაც წინა წელთან შედარებით 4 პროცენტით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით დარჩა უცვლელი და ყოველ 100 ცოცხლად დაბადებულ გოგოზე 107.9 ბიჭი მოდის.

2018 წელს დაბადებულთა ყველაზე მეტი რიცხოვნობა დაფიქსირდა ქ. თბილისში (16 161 ბავშვი), ხოლო ყველაზე მცირე – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (328 ბავშვი).

დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 2018 წელს 2017 წელთან შედარებით 38.9 პროცენტიდან 37.9 პროცენტამდე შემცირდა რიგით პირველი დაბადებულის წილი. მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულთა წილი 22.6 პროცენტიდან 23.4 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო მეორე შვილის წილი თითქმის უცვლელი დარჩა.

დიაგრამა №1

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დაბადების რიგითობის მიხედვით



წინა წელთან შედარებით 2018 წელს დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 25 წლამდე ასაკის დედების მიერ გაჩენილი ბავშვების წილი 32.7 პროცენტიდან 31.1 პროცენტამდე შემცირდა. 25-39 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალების წილი 64.6 პროცენტიდან 66.0 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო 40 წლის და უფროსი ასაკის დედების წილი თითქმის უცვლელია.

გარდაცვალება

2018 წელს გარდაცვლილთა რიცხოვნობა 2017 წელთან შედარებით 2.7 პროცენტით შემცირდა და 46 524 ადამიანი შეადგინა.

ისევე როგორც დაბადების შემთხვევაში, 2018 წელს გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა ქ. თბილისში (12 122 კაცი), ხოლო ყველაზე ნაკლები – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (656 კაცი).

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს 416 ჩვილი (1 წლამდე ასაკის ბავშვი) გარდაიცვალა. ამასთან, ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი (1 წლამდე გარდაცვლილთა რიცხოვნობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე) წინა წელთან შედარებით 1.5 პუნქტით შემცირდა და 8.1 პრომილე შეადგინა.

ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის ანალოგიურად, 5 წლამდე გარდაცვლილთა კოეფიციენტი (1 000 ცოცხლად დაბადებულზე) 2017 წელთან შედარებით 1.4 პუნქტით შემცირდა და 9.8 პრომილე შეადგინა.

ცხრილი 3: **გარდაცვლილთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით**

რეგიონი	2017	2018
საქართველო	47 822	46 524
თბილისი	11 976	12 122
აჭარის ა.რ.	3 480	3 438
გურია	1 861	1 691
იმერეთი	8 733	8 005
კახეთი	4 806	4 529
მცხეთა-მთიანეთი	1 370	1 329
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	736	656
სამეგრელო-ზემო სვანეთი	5 119	4 904
სამცხე-ჯავახეთი	1 941	1 927
ქვემო ქართლი	4 351	4 525
შიდა ქართლი	3 449	3 398

ბუნებრივი მატება

2018 წლის ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) წინა წელთან შედარებით 15.7 პროცენტით შემცირდა და 4 614 შეადგინა.

დიაგრამა №3

ბუნებრივი მატება რეგიონების მიხედვით



2018 წელს ბუნებრივი კლება დაფიქსირდა იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის რეგიონებში.

ქორწინება

2018 წელს რეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობა[2] წინა წელთან შედარებით 2.0 პროცენტით შემცირდა და 23 202 შეადგინა.

ცხრილი 4: **რეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით**

რეგიონი	2017	2018
საქართველო	23 684	23 202
თბილისი	6 984	6 718
აჭარის ა.რ.	2 548	2 598
გურია	647	665
იმერეთი	3 850	3 661
კახეთი	1 744	1 794
მცხეთა-მთიანეთი	475	500
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	211	177
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2 101	2 055
სამცხე-ჯავახეთი	993	921
ქვემო ქართლი	2 617	2 666
შიდა ქართლი	1 514	1 447

2018 წელს პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ქალებისთვის 27.7, ხოლო მამაკაცებისთვის 30.4 წელი იყო.

განქორწინება

2018 წელს რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობამ 10 288 შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.6 პროცენტით გაიზარდა.

ცხრილი 5: **რეგისტრირებული განქორწინებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით**

რეგიონი	2017	2018
საქართველო	10 222	10 288
თბილისი	3 731	3 898
აჭარის ა.რ.	678	761
გურია	237	252
იმერეთი	1 739	1 668
კახეთი	783	727
მცხეთა-მთიანეთი	222	234
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	72	70
სამეგრელო-ზემო სვანეთი	825	813
სამცხე-ჯავახეთი	217	233
ქვემო ქართლი	1 067	994
შიდა ქართლი	651	638